



სახაზინო სამსახურის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში 2015 წელი

➤ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება

- მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადდა და შესაბამის ადრესატებს მიეწოდათ საქართველოს 2015 წლის შესაბამისი თვეების სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშგება.
- საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის სხვადასხვა მუხლებზე მომზადდა სტატისტიკური და ანალიზური ანგარიშები.
- საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შემოსავლების კლასიფიკაციის შესაბამისად შექმნილი ე.წ. „ვებ-რეპორტების“ საშუალებით მუდმივ რეჟიმში ხორციელდება შემოსავლების დეტალური მონაცემების გაანალიზება - წლების, თვეებისა და დღეების მიხედვით დინამიკაში და ფულადი პროგნოზების შედგენა.
- განხორციელდა მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი 6 თვის ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციის ანალიზი და მომზადდა კონსოლიდირებული ანგარიშგება.
- სახაზინო სამსახურის მიერ ყოველთვიურად მომზადდა და ვებ-გვერდზე განთავსდა სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემები წლებისა და თვეების მიხედვით, კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება, საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტის შემოსულობები, ასევე, განხორციელდა ვებ-გვერდზე ყოველდღიური ოპერატიული ინფორმაციის განთავსება/განახლება.
- სახაზინო სისტემაში (eTreasury) დაიხვეწა არსებული ანგარიშგებები და დაემატა ახალი ფინანსური და ანალიტიკური რეპორტები.
- 2015 წლის პირველი იანვრიდან ადგილობრივი თვითმმართველობების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხაზინის ერთიან ანგარიშის სისტემაში მოქცევისა და სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე გადმოყვანის შედეგად, მომზადდა 2015 წლის შესაბამისი თვეების ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგება და წარედგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტს.





➤ *საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (IPSAS) დანერგვა*

- საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (IPSAS) დანერგვის სტრატეგიის ფარგლებში, განხორციელდა დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების (IPSAS 1, IPSAS 13, IPSAS 19, IPSAS 22-24) მოთხოვნების ასახვა აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტებში. ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, სახაზინო სამსახურის ანგარიშგების და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლების გადამზადებისა და ასევე, აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიაში შესატანი ცვლილებების პროექტის მომზადებისას დასმული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, მოწვეულ იქნა კონსულტანტი IPSAS სტანდარტებში. ცვლილებების პროექტი შეთანხმდა საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოსთან. აღნიშნული პროექტით განსაზღვრული სტანდარტები ძირითადად ეხება ფინანსური ანგარიშგების მომზადების წესებს და პირობებს და ამდენად, განახლებული მეთოდოლოგია ძალაში შევა გასული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ვადის დასრულების შემდეგ, 2016 წლის პირველი აპრილიდან.
- 2015 წლის პირველი იანვრიდან დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტების (IPSAS 2, IPSAS 3, IPSAS 4, IPSAS 6) დანერგვის შედეგად, აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, შემუშავდა ტრენინგის პროგრამა და მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებდა IPSAS 2, IPSAS 3, IPSAS 4, IPSAS 6 სტანდარტების მოთხოვნების გაცნობას მსმენელებისათვის, ასევე, მეთოდოლოგიაში განხორციელებული სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების სწავლებას. 2015 წლის აპრილიდან ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ მუდმივ რეჟიმში ხორციელდება საჯარო სექტორის ბუღალტრების გადამზადება აღნიშნული ტრენინგ-პროგრამის შესაბამისად.
- საჯარო ფინანსების ანგარიშვალდებულების და ტრანსფარენტულობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2014 წლის ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება განთავსდა სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე.





➤ *თვითმმართველი ერთეულების, სსიპ-ებისა და ააიპ-ების ბიუჯეტების ინტეგრირება სახელმწიფო ფინანსების მართვის ერთიან საინფორმაციო სისტემაში*

- ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხაზინის ერთიან ანგარიშის სისტემაში მოქცევისა და სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე გადმოყვანის რეფორმის ფარგლებში 2015 წლის პირველი იანვრიდან სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე სრულად გადმოვიდა ხელისუფლების ყველა დონის ორგანოების საფინანსო სამსახურები: ავტონომიური რესპუბლიკების 2 და ადგილობრივი თვითმმართველობის 76 ბიუჯეტი, ასევე 560 -მდე სსიპ და ა(ა)იპ. ყველა აღნიშნული სუბიექტის შემოსულობების სწორად და დეტალურად აღრიცხვისათვის შეიქმნა ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდები, ასევე ყველა მათგანს ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის შიგნით გაეხსნათ ანგარიშები, შემუშავდა ამ ანგარიშებზე სახსრების კონტროლის მექანიზმები.
- ზემოთ აღნიშნული სუბიექტების შემოსულობების და გადასახდელების, ასევე ფულადი სახსრების ეფექტურად მართვის კუთხით ამოქმედდა ახალი მოდულები და შეიქმნა სხვადასხვა ტიპის რეპორტები.
- სსიპ „საინფორმაციო ანალიტიკურ სამსახურთან“ ერთად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემის მოდულების მორგებაზე თვითმმართველობების, სსიპ-ებისა და ააიპ-ების საფინანსო საქმიანობის სპეციფიკასთან.
- სისტემის მოდულებთან მუშაობის უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით ხორციელდებოდა თვითმმართველი ერთეულების, სსიპ-ებისა და ააიპ-ების საფინანსო სამსახურების წარმომადგენლების ტრენინგები და საინფორმაციო ხასიათის სამუშაო შეხვედრები.
- 2016 წლის პირველი იანვრიდან განსახორციელებელი რეფორმების ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს დანარჩენი თვითმმართველობების მიერ დაფუძნებული/მათ კონტროლს ქვეშ მყოფი ა(ა)იპ - ების ხაზინის მომსახურებაზე გადმოყვანას, ინფორმაციული სახის შეხვედრები და ტრენინგები ჩაუტარდა 630 ორგანიზაციას. მომზადდა და ტრენინგის მონაწილეებს ელექტრონული ფორმით გადაეცათ სახელმძღვანელო ნორმატიული აქტები, ელექტრონული ხაზინის სისტემაში ჩასართავად დაშვების ფორმები და თანმდევი წერილების პროექტები. ახალი სუბიექტების შემოსულობების სწორად და დეტალურად აღრიცხვისათვის შეიქმნა ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდები, ასევე ყველა მათგანს ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის შიგნით გაეხსნათ ანგარიშები.





➤ **სახელმწიფო სესხების მართვა და საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურირაცია**

- მომზადდა „სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების რეესტრის წარმოების წესისა და რეესტრის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი (ფინანსთა მინისტრის ბრძანება N180, 2015 წლის 18 ივნისი).
- მომზადდა „სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების ერთიანი რეესტრის ფორმისა და ერთიანი რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი (ფინანსთა მინისტრის ბრძანება N181, 2015 წლის 18 ივნისი).
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებებისა და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურირაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელ კომისიის სხდომაზე განსახილველად შემოვიდა 16 საკითხი (მათ შორის საგადასახადო - 5 საკითხი, სასესხო - 11 საკითხი). აქედან საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურირაციის - 4 საკითხი (სარესტრუქტურირაციო თანხა - 2 758 717.11 ლარი), მათ შორის დაკმაყოფილდა ყველა (თანხა - 2 758 717.11 ლარი); სასესხო დავალიანების რესტრუქტურირაციის - 6 საკითხი, მათ შორის დაკმაყოფილდა 4 საკითხი (სარესტრუქტურირაციო თანხა - 277 726.51 ლარი); სასესხო დავალიანების გრაფიკში ცვლილებაზე - 2 საკითხი; ვადამდე შეწყვეტა - 2 საკითხი; უიმედო საგადასახადო დავალიანებად აღიარება და ჩამოწერა - 1 საკითხი (ჯერ არ განხილულა); უიმედო სესხად აღიარება და ჩამოწერა - 1 საკითხი (საკითხის განხილვა გადაიდო).

➤ **ბიუჯეტის შემოსულობების (გადასახადები) აღრიცხვა და ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნება**

- 2016 წლის პირველი იანვრიდან წარმატებით ფუნქციონირებს გადასახადების ერთიანი სახაზინო კოდი, აღნიშნული რეფორმის წარმატებით გასატარებლად 2015 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრები სსიპ ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკურ სამსახურისა და სსიპ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებთან. შემუშავდა კონცეფცია არსებული გადასახადის სახაზინო კოდების გაუქმებასა და გადასახადის ერთიანი სახაზინო





კოდის შექმნასთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნული ცვლილების შემდეგ შესაბამისი ანგარიშგებების მომზადებისა და შემოსავლების სამსახურთან ინფორმაციის გაცვლის სერვისების აწყობის მხრივ, რეფორმის შედეგად გაუქმდა საგადასახადო შემოსავლების ასეულობით სახაზინო კოდი, შედეგად გადასახადის გადამხდელებს საგრძნობლად გაუიოლდა ბიუჯეტთან ანგარიშსწორების პროცედურები, ასევე მოწესრიგდა და სრულყოფილ იქნა ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების აღრიცხვა.

- 2015 წლის 12 თვეში ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნების ქვეანგარიშზე მობილიზებულმა თანხამ შეადგინა 215,8 მლნ. ლარი, დაბრუნებული გადასახადების მოცულობამ შეადგინა 255,5 მლნ. ლარი, მათ შორის: დაუბეგრავი მინიმუმი 126,1 მლნ. ლარი, ზედმეტად გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადის დაბრუნების მოცულობამ შეადგინა 81,9 მლნ. ლარი.

➤ **საბიუჯეტო ორგანიზაციების სადეპოზიტო კოდებზე დეპონირებული თანხების მართვა**

- შემუშავდა დეპოზიტების მართვის ახალი მოდული, რაც გულისხმობს საბიუჯეტო ორგანიზაციების სადეპოზიტო კოდებზე დეპონირებული თანხების მართვას ელექტრონული დავალებების საშუალებით. აღნიშნული ცვლილების შედეგად განხორციელდა სადეპოზიტო ოპერაციების სრული ავტომატიზაცია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების ელექტრონული მიმოცვლა.

➤ **საბანკო ანგარიშსწორების სისტემა**

- სახაზინო სამსახურის მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების წარმოებისას არსებული ურთიერთობების დარეგულირების მიზნით მომზადდა და ხელი მოეწერა „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისათვის ანგარიშების გახსნისა და უცხოური ვალუტით ოპერაციების განხორციელების შესახებ“ და „დისტანციური საბანკო მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულებებს.
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სახაზინო სამსახურის დისტანციული საბანკო მომსახურების დახვეწის მიზნით განხორციელდა უცხოური ვალუტით ოპერაციების დროს გამოყენებული შეტყობინებების ტიპების ცვლილება SWIFT-ის სტანდარტების შესაბამისად.





- 2015 წლის პირველი იანვრიდან კომერციული ბანკებიდან ხაზინის ერთიან ანგარიშზე გადმოტანილი მიზნობრივი გრანტის ნაშთების აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით ხაზინის ელექტრონულ სისტემაში განხორციელდა მიზნობრივი გრანტების განსაზღვრის მოდულის ოპტიმიზაცია.
- ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯის მობრუნებების ეფექტურად მართვის მიზნით ხაზინის საინფორმაციო სისტემაში დაემატა ახალი ტიპის ოპერაციები, კერძოდ ტრანზიტებისა და სახაზინო კოდების ცვლილების ოპერაციები - შესაბამისი ბიუჯეტისა და დაფინანსების წყაროს მიხედვით.
- შემუშავდა და დაინერგა უცხოურ ვალუტაში გადარიცხული თანხების მობრუნებების, ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების მობრუნებების ანალოგიურად, გადარიცხულ დავალებებზე ასახვის მექანიზმი.
- საბანკო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ხაზინის ბექ-ოფისის სისტემაში დაემატა RTGS სისტემის მიერ ტექნიკური ხარვეზის გამო უარყოფილი მოთხოვნების დაწუნებისა და გადაგზავნის ფუნქციონალი.
- განხორციელდა ხაზინის ელექტრონული სისტემის მულტისავალუტო ანგარიშის და SWIFT-ის სისტემის ინტეგრაცია ხაზინის სავალუტო ანგარიშზე ჩარიცხვების კუთხით.

➤ *ფულადი სახსრების პროგნოზირება და მართვა*

- ფულადი სახსრების ეფექტური პროგნოზირებისა და მართვის მიზნებისათვის, განხორციელდა ფულადი სახსრების ნაშთების, შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ სხვადასხვა რეპორტების მომზადება ხაზინის ელექტრონულ სისტემაში. აღნიშნული რეპორტების საშუალებით ხდება ისტორიული მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი.
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომზადდა 2015 წლის შესაბამისი თვეების ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმა.
- მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადდა 2015 წლის შესაბამისი თვეების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.
- ფულადი სახსრების ეფექტური პროგნოზირებისა და მართვის მიზნებისათვის განხორციელდა სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებებიდან სამომავლო ხარჯვის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა.
- ფულის მართვის მოდულის ანალიტიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების მიზნით, მიმდინარეობს ბაზარზე





არსებული, აპრობირებული სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების შესწავლა, მათ წარმომადგენლებთან შეხვედრა და გამოცდილების გაზიარება.

- მიმდინარეობს სათანადო საკანონმდებლო აქტ(ებ)ის მომზადება/დამუშავება, რომლითაც უნდა განისაზღვროს თავისუფალი ფულადი სახსრების, რისკების, ბანკების, ფინანსური ინსტრუმენტების შერჩევისა და შეფასების კრიტერიუმები.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, საქართველოს კომერციულ ბანკებში ეკონომიკის გრძელვადიანი უზრუნველყოფის მიზნით 2015 წელს განთავსდა 99,996 მილიონი ლარი. როგორც აღნიშნული, ასევე სამომავლო განთავსებების, ტექნიკური უზრუნველყოფა, აღრიცხვა, ანგარიშსწორება და შემდგომი ანგარიშგების საკითხები ხორციელდება ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის დეპარტამენტის მიერ.
- საჯარო ფინანსების მართვის (PFM) პროგრამის ფარგლებში, ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის სტრატეგიის მომზადებასთან დაკავშირებით, შეთანხმდა ამ დარგში დიდი გამოცდილების მქონე საზღვარგარეთელი ექსპერტებით დაკომპლექტებული, ტექნიკური მისიის ჩამოსვლა და მუშაობის დაწყება ფულადი სახსრების მართვის საინვესტიციო სტრატეგიის დოკუმენტზე. აღნიშნულ დოკუმენტში სხვა საკითხებთან ერთად, მიმოხილული იქნება ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, არსებული სიტუაციის ანალიზი, საუკეთესო პრაქტიკა, როგორც ფულადი სახსრების მართვის, ასევე შემოსავლების პროგნოზირებისა და ხარჯების დაგეგმვის კუთხით, აგრეთვე ინვესტირების განხორციელების ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები და რისკების მართვის სტრუქტურა. ინტენსიური მუშაობის პროცესში დაგეგმილია სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა უწყებისა და კომპანიის წარმომადგენლებთან, რათა 2016 წლის პირველ კვარტალში შემუშავებულ იქნას სტრატეგიის სამუშაო ვარიანტი და დაიწყოს კადრების მომზადების (ტრენინგის) პროცესი.

➤ ადამიანური რესურსების განვითარება

- სახაზინო სამსახურში არსებულ 6 საკონკურსო თანამდებობაზე გამოცხადდა კონკურსი. კონკურსის შედეგად დაინიშნა 6 თანამშრომელი.
- სახაზინო სამსახური აქტიურად მუშაობდა შიდა რესურსების განვითარების მიმართულებით, სამსახურის თანამშრომლები მუდმივად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა სახის ტრენინგებში.
- „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის





წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 სექტემბრის №410 ბრძანების შესაბამისად, სახაზინო სამსახურში სტაჟირება გაიარა 7-მა სტაჟიორმა, რომელთაც სტაჟირების დასრულების შემდგომ გადაეცათ სერტიფიკატები.

- „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილების შესაბამისად, სახაზინო სამსახურში სტაჟირება გაიარა 17-მა სტუდენტმა, რომელთაც სტაჟირების დასრულების შემდგომ გადაეცათ სერტიფიკატები.
- „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 13 მაისის №294 ბრძანების შესაბამისად, სახაზინო სამსახურში პრაქტიკა გაიარა 13-მა პრაქტიკანტმა.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში სახაზინო სამსახურში პრაქტიკა გაიარა 5-მა სტუდენტმა.

